საქართველოს მთავრობის განკარგულება

№207 2018 წლის 26 იანვარი ქ. თბილისი

„საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 12 იანვრის №23 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 12 იანვრის №23 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების ტექსტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დამტკიცდეს „საქართველო-ბელარუსის ეკონომიკური თანამშრომლობის ერთობლივი სამთავრობათაშორისო კომისიის“ საქართველოს მხარის შემდეგი შემადგენლობა:

დიმიტრი ქუმსიშვილი	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, პირველი ვიცე-პრემიერი,

	კომისიის თანათავმჯდომარე;
გენადი არველაძე	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე;
ნოდარ კერესელიძე	- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე;
ირაკლი მატკავა	- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის პირველი მოადგილე;
გიორგი შარვაშიძე	- საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე;
ზაზა სოფრომაძე	- საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე;
დავით საგანელიძე	- სსს „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი;
დავით ვარდიაშვილი	- საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის მოადგილე;
ალექსანდრე ონოფრიშვილი	- საქართველოს პრემიერ-მინისტრის უშუალო დაქვემდებარებაში არსებული სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულების – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
ირაკლი ქადაგიშვილი	- სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში (ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და

ყვარლის მუნიციპალიტეტები);

ნიკოლოზ გოგილიძე	-	სსიპ – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარე;
ნინო ჩიქოვანი	-	საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
პაატა გოგოლიძე	-	სსიპ – აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი;
ალექსანდრე ხვთისიაშვილი	-	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობათა დეპარტამენტის დირექტორი;
კახა ხანდოლიშვილი	-	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სტრატეგიული დაგეგმვისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
ხატია წილოსანი	-	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
მიხეილ პაატაშვილი	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის განვითარების პოლიტიკის დეპარტამენტის სახმელეთო ტრანსპორტის სამმართველოს უფროსი;
ჯემალ ვაშაკიძე	-	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობის, საინფორმაციო და თანამედროვე ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;
მაია გუნცაძე	-	სსიპ – სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე;

მანანა ფრუიძე	- სსიპ – ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი;
მარიამ ლაშხი	- სსიპ – საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს დონორებთან ურთიერთობებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსი;
გიორგი დარჩია	- სსიპ – აწარმოე საქართველოში – ანალიზისა და კვლევის დეპარტამენტის უფროსი;
ვახტანგ კურცხალია	- სსიპ – საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი;
ნანა შავიძე	- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მეზობელ ქვეყნებსა და რეგიონის სხვა ქვეყნებთან ვაჭრობის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, კომისიის მდივანი.“.

2. განკარგულება ძალაშია 2018 წლის 29 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი